+

პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-

2025 წლის ------ ნოემბერი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2026 წელს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის მიერ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 24 ნოემბრის N48-482532884 წერილი, რომლითაც ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2026 წელს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვას და მოწონებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე:

1. მოწონებულ იქნეს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2026 წელს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებები წარმოდგენილი დანართის მიხედვით.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა №11).

მესამე რანგის პირველი კატეგორიის

უფროსი სპეციალისტის მ/შ: მაია უგლავა

შეთანხმებულია:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი: მაია ბერაძე

აპარატის უფროსი: გელა თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე: რევაზ დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482532884**
თარიღი: **24/11/2025**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

,, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის № 23 დადგენილების შესაბამისად გიგზავნით 2026 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რგფ-ის მიერ დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების ნუსხას (დანართი 2 თან ერთვის).

წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები განხილული და მოწონებული უნდა იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

პროექტებს გავლილი აქვთ ექსპერტიზა.

გთხოვთ, საპროექტო წინადადებების განხილვას და მოწონებას.

დანართი: 1 ფურცლად

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

N	რეგიონი	მუნიციპალიტეტი	2026 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება
1	იმერეთი	წყალტუბო	ქალაქ წყალტუბოში ნინოშვილის, ავალიანის და წერეთლის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები
2	იმერეთი	წყალტუბო	სოფელ მეჩხერში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.

2026 წელს რგ(პ)ფ ფონდის მიერ დასაფინანსებელი პროექტები

პროექტის კატეგორია	ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება	რეგ.ფონდი	სულ	ბენეფიციარი
სანიაღვრე არხი	87,450.00	1,661,550	1749000	1865
გზა	21,832.00	414,824	436,656	95

რაოდენობრივი მაჩვენებელი (გრძ.მ/ ან ობიექტის რაოდენობა)	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია (კი/არა)	ექსპერტიზა (კი/არა)	მიღება ჩაბარება (კი/არა)
3.1	კი	კი	კი
1.4	კი	კი	კი

პროექტის მოკლე აღწერა
მოეწყობა სანიაღვრე სისტემები რაც თავიდან აარიდებს მოსახლეობას დატბორვის საშიშროებას
გზებზე მოეწყობა ბეტონის საფარი. მათი რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს ამ უბნებში მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას, შეამცირებს მგზავრობის ხანგრძლივობას ქ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრამდე და ქ. ქუთაისამდე., ამაღლდება მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა, რაც სასიკეთოდ აისახება მათი- სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობებისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.